ვიზუალური მეტაფორები საბჭოთა დოგმების წინააღმდეგ: ჟურნალ "ნიანგის" ილუსტრაციათა ანალიზი[1]

VISUAL METAPHORS AGAINST SOVIET DOGMAS: AN ANALYSIS OF ILLUSTRATIONS FROM THE "NIANGI" MAGAZINE

მანანა შამილიშვილი

ჟურნალისტიკის დოქტორი, პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

+995577452912

manana.shamilishvili@tsu.ge

Manana Shamilishvili

Doctor of Journalism, Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

manana.shamilishvili@tsu.ge

ORCID: 0009-0006-3445-9671

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს საბჭოთა საქართველოში გამომავალი სატირულ - იუმორისტული ჟურნალის, "ნიანგის", ვიზუალური მასალის თავისებურებათა წარმოჩენას. როგორც ვიცით, იმ დროს მედიას ცენზურის პირობებში უხდებოდა არსებობა, როცა მკაცრად კონტროლდებოდა პუბლიკაციათა შინაარსი. ამ ვითარებაში იუმორისტული გამოცემები მაინც ახერხებდნენ ნართაულად, ეზოპეს ენით ეთქვათ სიმართლე. განსაკუთრებით ეს ითქმის ილუსტრატორებზე - მხატვრებზე, რომლებიც ვიზუალური მეტაფორებით ცდილობდნენ რეალობის ჩვენებას.

[1] ნაშრომი შექმნილია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეტაპიანი საგრანტო პროექტის მესამე ნაწილის - „პოსტბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა (1956-1991 წწ)" ფარგლებში (FR-23- 8132).

1950 -1970 -იანი წლების ჟურნალ „ნიანგში“ გამოქვეყნებულ ვიზუალურ მასალაზე დაკვირვებით შევეცადეთ წარმოგვეჩინა ის შემოქმედებითი მეთოდები, მხატვრული ხერხები, რომელთა მეშვეობითაც გამოცემის ავტორი - მხატვრები შეფარვით აწვდიდნენ სათქმელს მკითხველ აუდიტორიას. დასახული ამოცანის შესასრულებლად ჟურნალში მოძიებული ილუსტრაციები ვიკვლიეთ ინტერდისციპლინური მიდგომით. ჟურნალ „ნიანგის“ არქივში დაცული ვიზუალური მასალის კვლევისთვის გამოვიყენეთ კონოტაციური სემიოტიკური ანალიზის მეთოდი, ხოლო საკითხის ფართო სოციალურ - პოლიტიკურ კონტექსტში წარმოსაჩენად - დისკურსის ანალიზი.

განსახილველი თემატიკა მოითხოვდა კონცეპტუალური ჩარჩოს მისადაგებას. რელევანტური თეორიული წყაროების მიმოხილვის საფუძველზე ყველაზე მნიშვნელოვან კონცეფციად მივიჩნიეთ მიხეილ ბახტინის კარნავალურობის თეორია. იგი დაგვეხმარა ავტორთა ძირითადი შემოქმედებითი სტრატეგიების წარმოჩენაში. ამ ხერხებს მხატვრები ოსტატურად იყენებდნენ ისეთი თემების გასაშარჟებლად, რომლებზეც პირდაპირი საუბარი აკრძალული იყო.

ვიზუალური მასალის თემატური კლასიფიკაციის გზით გამოვყავით ილუსტრაციათა რამდენიმე კატეგორია. იუმორისტული ნარატივის შესწავლისას გამოვკვეთეთ როგორც დენოტაციური, ისე კონოტაციური დონეები და მოვახდინეთ დეკოდირება იმ დაშიფრული ინფორმაციისა, რომელსაც ავტორები ვიზუალურ ტექსტში დამალული ქვეტექსტების, ირონიისა და „სტრიქონებს შორის კითხვის“ მეთოდით გადასცემდნენ აუდიტორიის იმ ნაწილს, ვისაც ე.წ. „შიფრის კოდზე“ ხელი მიუწვდებოდა. შემუშავებული მეთოდოლოგიით მიღებული კვლევის საგულისხმო შედეგები ნაშრომში მიგნებების სახით წარმოვადგინეთ.

საკვანძო სიტყვები: ჟურნალი “ნიანგი”, საბჭოთა ცენზურა, კარნავალიზაცია, ვიზუალური მეტაფორები, სიმბოლური წინააღმდეგობა

Abstract

This study examines the distinctive characteristics of the visual material published in the satirical and humorous magazine "Niangi" in Soviet Georgia. Operating under strict state censorship, the media’s content was rigorously controlled. Despite these constraints, satirical publications successfully conveyed critical truths through narrative subtext and Aesopian language. This strategy was particularly evident in the work of illustrators and artists who utilized visual metaphors to depict contemporary reality.

Focusing on the visual material from the 1950s to the 1970s, this paper analyzes the creative methods and artistic techniques employed by the magazine's artists to communicate nuanced messages to their audience. Utilizing an interdisciplinary approach, the archival illustrations were evaluated through qualitative content analysis and connotative semiotic analysis. Furthermore, discourse analysis was applied to situate these visual texts within the broader socio-political context of the era.

The conceptual framework of this research adapts Mikhail Bakhtin's theory of carnivalization as a foundational concept to interpret the authors' primary creative strategies. This framework elucidates how artists skillfully employed caricature to address socio-political topics that were otherwise restricted from direct public discourse.

Through a thematic classification of the visual material, this study categorizes the illustrations, decodes their denotative and connotative layers, and uncovers the encrypted messages, irony, and subtexts hidden within the visual text. Ultimately, the paper highlights how these artistic methods successfully targeted a readership equipped to decode this "cipher code," presenting the significant research findings obtained through this methodological approach.

Keywords: "Niangi" magazine, Soviet censorship, carnivalization, visual metaphors, symbolic resistance

შესავალი

1957 წელს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის კურიოზულ შთაბეჭდილებებს რომ გვიზიარებდა, გაბრიელ გარსია მარკესი წერდა: *„გასაოცარია, მაგრამ საბჭოთა ადამიანებს თავი გევრი ისეთი ნივთის გამომგონებელი ეგონათ, დასავლეთში უკვე კარგა ხანია წარმატებით რომ იყენებდნენ. 50-იანი წლების მიწურულს მოსკოვში შეიძლება შეხვედროდით კაცს, რომელიც უაპელაციოდ განაცხადებდა, რომ გამოიგონა ... ელექტრონული მაცივარი. ცრუ ან უგონო არ გეგონოთ, მართლაც შეეძლო მაცივარი საკუთარი ხელებით აეწყო. საქმე ისაა, რუსები* (და მათთან ერთად, ქართველებიც - მ.შ.) *ათწლეულების მანძილზე, დამაფრთხობ მარტოობაში, ყინულივით მოფრთხიალე თევზივით, თავდაუზოგავად ცდილობდნენ შეექმნათ ის, რაც „რკინის ფარდის“ მიღმა რა ხანია ყოველდღიურობად ქცეულიყო“* (მარკესი, 2005: 7). ასეთი იყო უძლეველი სუპერსახელმწიფოს მოქალაქეთა რეალური ყოფა. როგორც მარკესი აღნიშნავდა თავის სამოგზაურო ნარკვევში, ტექნიკური და სოციალურ - ყოფითი განვითარების დონეებს შორის შეუსაბამობამ ქვეყანა ფანტასტიკურ დისპროპორციებამდე მიიყვანა, მწერლის მიერ საკუთარი თვალით ნანახმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

მწერლის მიერ თვალნათლივ შემჩნეულმა ვითარებამ თავისი ასახვა ჰპოვა საბჭოთა პერიოდის იუმორისტულ ნარატივში. რა თქმა უნდა, იუმორი სწორედ ზემოხსენებულ „სოციალურ-ყოფითი განვითარების დონეებს“ აირეკლავდა და არა პოლიტიკურს. იდეოლოგიური დისკურსი ურყევად იყო მოქცეული მკაცრი ცენზურის ქვეშ და ნებისმიერ განსხვავებულ მოსაზრებას დევნიდა. სახელმწიფო არა მხოლოდ აკონტროლებდა ახალ ამბებს, არამედ ქმნიდა კიდეც მათ. მედია იყო იდეოლოგიური იარაღი და ხელისუფლების რუპორი. ამ გარემოებაში თითქოს შეუძლებელი იყო სისტემის მიერ დაშვებულის მიღმა სხვა რამ გეთქვა, მაგრამ ნიჭიერი ხელოვანები მაინც ახერხებდნენ სისტემისთვის თვალის ახვევას და სიმართლის შეფარვით თქმას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა რეჟიმი თავისი არსებობის მანძილზე არ ყოფილა ერთგვაროვანი. შიდაპოლიტიკური პერიპეტიები დროდადრო ცვლიდა არსებულ რთულ „კლიმატს“ და ზოგჯერ საზოგადოებისთვის სასარგებლოდაც. მაგალითად, ხრუშჩოვისეული „ოტტეპელის“ პერიოდში ჟურნალ-გაზეთებმაც უფრო თამამად

დაიწყეს კრიტიკული მასალების ბეჭდვა. ცხადია, მათი პათოსი რეჟიმის წინააღმდეგ არ იყო მიმართული, მაგრამ კრიტიკულად განსჯიდა ქვეყანაში არსებულ სოციალურ პრობლემებს და საზოგადოების სხვადასხვა მანკიერებას ააშკარავებდა. ამ პერიოდიკაში, პირველ ყოვლისა, სატირულ-იუმორისტული გამოცემები მოიაზრება.

აღნიშნული კატეგორიის გამოცემებს შორის კი, უპირველესად, ჟურნალი „ნიანგი“ უნდა დავასახელოთ. იგი იყო 1922 წელს მოსკოვში დაარსებული სატირული ჟურნალის „კროკოდილის“ (რუს. Крокодил - ეს სახელი ჟურნალს ეწოდა ფიოდორ დოსტოევსკის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით) ქართული ანალოგი. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსული გამოცემის ალტერნატიული ვერსიები იბეჭდებოდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებშიც. „კროკოდილის“ ზუსტ თარგმანს მხოლოდ ქართული გამოცემა იყენებდა სახელდებად, სხვა ქვეყნებში გამოცემებს ძირითადად ადგილობრივ ენაზე თარგმნილი „კრაზანას“ ან „ზღარბის“ სახელები ერქვათ.

ქართული ჟურნალი 1923 წლის 3 ივნისიდან იბეჭდებოდა თბილისში და გამოდიოდა თვეში ორჯერ; 1924 – 1930 წლებში გამოიცემოდა “ტარტაროზის“ სახელწოდებით, როგორც გაზეთ “მუშის“ დამატება, ხოლო 1931 წლიდან - კვლავ „ნიანგის“ სახელით. სხვადასხვა დროს „ნიანგის“ რედაქტორები იყვნენ: ს. თორდია, ს. ეული, გრ. აბაშიძე, ნ. დუმბაძე, ზ. ბოლქვაძე, ვ. ჭელიძე, ზ. გემაზაშვილი, ნ. შველიძე და სხვები. რედაქტორთან ერთად, გამოცემას უძღვებოდა სარედაქციო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში არაერთი ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე შედიოდა (მაგალითად: აკ. ბელიაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი და სხვები). გამოცემასთან თანამშრომლობდნენ ასევე სხვა ღირსსაცნობი ქართველი მწერლები, ჟურნალისტები, მხატვრები.

ჟურნალს ჰქონდა დამატება “ნიანგის ბიბლიოთეკა”, რომელიც ყოველწლიურად ნაწარმოებთა 12 კრებულს გამოსცემდა. 1981 წლის მონაცემებით, “ნიანგის” ტირაჟი შეადგენდა 150 ათას ეგზემპლარს. მისი ფასი იყო 2 მანეთი. ჟურნალის რედაქცია მდებარეობდა ქალაქ თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე (ნომერი 42).

ქართული ჟურნალი, რუსული “წინამორბედის” მსგავსად, მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერი მოვლენების მხილებას. ბეჭდავდა სატირულ და იუმორისტულ ნაწარმოებებს, ნახატებსა და კარიკატურებს. გამოცემა ჟანრობრივადაც მრავალფეროვანი იყო. იუმორისტული ჩანახატები, ნაკვესები, აფორისტული გამოთქმები, ლექსი - ეპიგრამები, წერილები, განცხადებები - ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ ფორმებისა, რომელთაც ავტორები იყენებდნენ მკითხველთან სათქმელის მისატანად. ყველა ეს ფორმა ილუსტრაციითაა გაფორმებული და ინსემანტიკურია - ტექსტის ამხსნელად გვევლინება. თუმცა, უფრო ხშირად გვხვდება ავტოსემანტიკური ნიმუშები, რომელთაც საკუთარი დამოუკიდებელი სათქმელი აქვს და ხშირად ტექსტის ან მინაწერის გარეშე გადმოგვცემენ შეტყობინებას. იმპლიციტური ინფორმაციის დეკოდირება თავად მკითხველზეა დამოკიდებული, იმ კულტურული, პოლიტიკური და სოციალური კონტექსტების თავისებურებებზე, რომელშიც იგი იმყოფება.

როგორც ვთქვით, ხრუშჩოვისეული „დათბობის“ პერიოდში ჟურნალ-გაზეთებმაც უფრო მეტად დაიწყეს კრიტიკული ქვეტექსტების მქონე მასალების ბეჭდვა. შეფარული

და გადატანითი მნიშვნელობით მოხმობილი პუბლიკაციები ბევრ ისეთ თემას შეიცავდა, რომელზე საუბარს ადრე ვერავინ გაბედავდა. ასე მაგალითად, 1957 წლის „ნიანგის“ პირველივე ნომერში ვკითხულობთ მარკ ტვენის აფორიზმებს, რომლებშიც ავტორი ამერიკაში არსებულ ნაკლოვანებებზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა ამავდროულად მწერლის კრიტიკის მიღმა იმ ღირებულებებსაც შეახსენებს მკითხველს, რომელთაც დასავლური დემოკრატია ემყარება: *„ღვთის წყალობით, ამერიკაში სამი ფასდაუდებელი საჩუქარი მოვიპოვეთ: სიტყვის თავისუფლება, სინდისის თავისუფლება და კეთილგონიერება. მონაპოვრით სარგებლობისგან თავს ვიკავებთ უკანასკნელის გამო“* (ნიანგი, 1957: #1, 6). ცნობილი მწერლის სიტყვები თანამედროვე ეპოქაშიც არ კარგავს აქტუალობას. მართალია, იგი ამერიკული საზოგადოების გაკიცხვის ფუნქციას ატარებს, მაგრამ თავისთავად ამერიკული დემოკრატიის ფუძემდებლური ფასეულობების შეხსენება საბჭოთა მკითხველისთვის, ვფიქრობთ, უკვე არის ყურადსაღები ფაქტი. „აფორიზმებიდან“ კიდევ ერთი ნიმუში იპყრობს ყურადღებას: *„ამომრჩევლის ბიულეტენი: საქონლის ერთადერთი სახე, რომლითაც ვაჭრობა შეიძლება უპატენტოდ“* (იქვე: გვ.6). ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, ძნელია, აქაც არ დაეთანხმო მწერალს.

ირონიული აფორისტული გამონათქვამები „ნიანგის“ თითქმის ყველა ნომერში გვხვდება და იბეჭდება „ნიანგის ლექსიკონის“ ან უბრალოდ, „ლექსიკონის“ რუბრიკით. თუმცა, ჩვენ მხოლოდ გამოცემის ვიზუალურ ნარატივზე შევაჩერებთ ყურადღებას; შევისწავლით იმ ილუსტრაციებს, რომლებიც დატვირთულია კოდური შეტყობინებით და არსებული პოლიტიკური თუ ყოფითი ვითარების კრიტიკულ აღქმას გვთავაზობს. ამ კრიტერიუმით შევარჩიეთ 1950 -1970 -იანი წლებში „ნიანგში“ დასტამბული ვიზუალური ტექსტები. უფრო კონკრეტულად, წარმოდგენილი ნაშრომით მიზნად ვისახავთ წარმოვაჩინოთ საბჭოთა საქართველოში გამომავალი სატირულ - იუმორისტული ჟურნალის, “ნიანგის” ვიზუალური მასალის თავისებურებები, მისი ძირითადი თემატური მიმართულებები; ის შემოქმედებითი მეთოდები, მხატვრული ხერხები, რომელთა მეშვეობითაც გამოცემის ავტორი - მხატვრები შეფარვით აწვდიდნენ სათქმელს მკითხველ აუდიტორიას.

საკვლევი თემა დღესაც ძალზე აქტუალურია და საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდის საბჭოთა ეპოქაში არსებული მედიაგარემოსა და ცალკეულ ავტორთა შესახებ, რომლებიც ცდილობდნენ დაშიფრული გზავნილებით წარმოეჩინათ თანადროულობის პრობლემები. საკითხის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ჟურნალი „ნიანგი“ და მასში გამოქვეყნებული ილუსტრაციები ქართულ სამეცნიერო სივრცეში მხოლოდ ფრაგმენტულად არის შესწავლილი. მწირია აგრეთვე აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, რაც თემას დამატებით კვლევით მნიშვნელობას ანიჭებს და მისი შემდგომი შესწავლის აუცილებლობას უსვამს ხაზს.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ბეჭდური მედიის ვიზუალურ ნარატივს, როგორც პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ინსტრუმენტს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტოტალიტარული რეჟიმებისა და პოლიტიკური პროპაგანდის კვლევებში. ვიზუალური გზავნილის საშუალებით შესაძლებელი ხდება ისეთი საკითხების ირიბად გადმოცემა, რომელთა პირდაპირი ფორმით გამოხატვა ცენზურისა და პოლიტიკური კონტროლის პირობებში შეზღუდული იყო. მაგალითად, მ. შამილიშვილი და ა. ნემსაძე (2019) ნაშრომში „კარიკატურა როგორც აზროვნების მოდელი საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში“ კარიკატურას განიხილავენ როგორც არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას, რომელიც კონკრეტული ისტორიული ეპოქის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ თავისებურებებს სიმბოლური ფორმით გამოხატავს. ავტორები აღნიშნავენ, რომ ტოტალიტარული მმართველობის პირობებში კარიკატურის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს პერსონაჟის რეალური სახის წარმოჩენა და მის შესახებ შექმნილი მითების უარყოფა.

ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ემიგრანტულ გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ კარიკატურებზე, რომლებიც გაზეთის ანტისაბჭოთა და პრონაციონალისტური სარედაქციო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. მათი შეფასებით, აღნიშნული ვიზუალური მასალა მკაფიოდ ასახავდა გაზეთის იდეოლოგიურ მიმართულებას და მიზნად ისახავდა როგორც საბჭოთა პოლიტიკური ლიდერების შესახებ შექმნილი მითების დამსხვრევას, ისე ანტისაბჭოთა განწყობის გაძლიერებას. ავტორები შენიშნავდნენ, რომ მათ მიერ შესწავლილი კარიკატურები წარმოადგენდა ე.წ. „კრეოლიზებულ მედიატექსტებს“, სადაც ერთმანეთს ერწყმოდა იკონური და ვერბალური კოდები, რაც გზავნილის ემოციურ და იდეოლოგიურ ეფექტს მნიშვნელოვნად აძლიერებდა.

მედიის თანამედროვე კვლევებში კარიკატურა ხშირად განიხილება როგორც მრავალშრიანი კომუნიკაციური სისტემა, რომელშიც ვიზუალური და ვერბალური ელემენტები ერთიან იდეოლოგიურ გზავნილს ქმნის. მედიის სემიოტიკის კვლევისას ბიგნელი (2002) აღნიშნავს, რომ ვიზუალური ტექსტი მნიშვნელობას მხოლოდ გამოსახულების საშუალებით არ ქმნის; იგი კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ კოდებზე დაყრდნობით ფუნქციონირებს, რის გამოც აუდიტორია კონკრეტულ სიმბოლოებსა და ნიშნებს წინასწარი გამოცდილებისა და ფონური ცოდნის საფუძველზე აღიქვამს. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური კარიკატურის ანალიზისას, რადგან გროტესკული გამოსახულება, ჰიპერბოლა, ზოომორფული ელემენტები და სიმბოლური დეტალები ხშირად უფრო ძლიერ იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებს, ვიდრე უშუალოდ ტექსტი. ჯინჭარაძე (2010) სატირული კრეოლიზებული ტექსტის სემიოტიკური ბუნების განხილვისას აღნიშნავს, რომ იკონური და ვერბალური კოდების ურთიერთქმედება ქმნის განსაკუთრებულ კომუნიკაციურ ეფექტს, რომელიც აუდიტორიაზე ემოციურ და ინტელექტუალურ ზემოქმედებას ერთდროულად ახდენს.

პრესაში კარიკატურის როლზე საუბრობს აგრეთვე მკვლევარი თინათინ მაჭარაშვილი. მისი თქმით, ბეჭდურ მედიაში კარიკატურის გამოყენებას იდეოლოგიური დატვირთვა აქვს და აგიტაციას ემსახურება: „პრესისთვის კარიკატურა ის იარაღია, რომლითაც ამხელს პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, ეკონომიკურსა და კულტურულ-სოციალურ სფეროში მიმდინარე მოვლენებს“ (მაჭარაშვილი, 2018: 28-29).

პოლიტიკური კარიკატურის ფუნქციას თანამედროვე მედიის კონტექსტში განიხილავს სამსულ ალამიც, რომელიც ვიზუალურ იუმორს პოლიტიკური კომუნიკაციის მნიშვნელოვან რესურსად მიიჩნევს. ავტორის შეფასებით, ვიზუალური სატირა აუდიტორიას რთულ პოლიტიკურ მოვლენებს შედარებით მარტივი, ემოციური და ადვილად აღსაქმელი ფორმით აწვდის, რაც ზრდის გზავნილის ეფექტურობასა და გავლენას. ამასთანავე, ალამი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პოლიტიკური კარიკატურა ხშირად გამოიყენება „მტრის ხატის“ შესაქმნელად, პოლიტიკური ოპონენტის სტიგმატიზაციისა და კონკრეტული იდეოლოგიური ნარატივების გასაძლიერებლად (Alam, 2024).

მკვლევარი ბონდო კუპატაძე „ნიანგის“ შესახებ ამბობს, რომ ეს სატირულ-იუმორისტული ჟურნალი ერთ-ერთია იმ გამოცემათა შორის, რომლებიც საბჭოთა რეალობას, სოციალურ გარემოს ობიექტურად ასახავს და ამაში მას საბჭოთა პრესისთვის დაწესებული პრინციპებიდან სწორედ კრიტიკისა და თვითკრიტიკის პრინციპი ეხმარება. მისი თქმით: „ (..) მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული თემები, როგორებიცაა: “საგარეო პოლიტიკა”, “ოფიციალური დადგენილებები” თუ “პარტიული ხაზი”, უშუალოდ მმართველი ძალის კარნახით შუქდება, „ბევრად მეტი თავისუფლებაა სოციალური გარემოს ასახვისას და მთელი რიგი საბჭოთა კამპანიები („ყამირი“, „სიმინდის თესვა“, „სოფლის აღორძინება“, მწერლობაში გაწვევა, ბრძოლა სპეკულანტობასთან) თავისდაუნებურად გაშარჟებულია და მათი რეალური სოციალური ქვეტექსტებიც კარგად ჩანს“ (კუპატაძე, 2017: 24-25).

კვლევის თეორიული ჩარჩო

კვლევის თეორიულ ჩარჩოდ შევარჩიეთ მიხეილ ბახტინის კარნავალურობის თეორია. იგი ყველაზე უკეთ მიესადაგება საკვლევ თემას და თუ რატომ, ავხსნით: ბახტინის მიხედვით, კარნავალურობა არ არის უბრალოდ სადღესასწაულო სანახაობა – ეს არის სამყაროს აღქმის განსაკუთრებული, ალტერნატიული წესი, რომელიც დროებით აუქმებს საზოგადოებაში არსებულ იერარქიებს, წესებსა და აკრძალვებს. კარიკატურა პირდაპირ იყენებს კარნავალის მთავარ იარაღს: ძალაუფლების მქონეთა ვიზუალურ დამხობასა და გაცინებას. კარნავალისთვის დამახასიათებელია ამბივალენტური სიცილი, ტაბუების მსხვრევა, საზღვრების წაშლა სხვადასხვა სამყაროს შორის. კარიკატურაში ეს ვლინდება პერსონაჟების მეტამორფოზით. ლიტერატურათმცოდნე ირმა რატიანი ნაშრომში “მიხაილ ბახტინის თეორიული კონცეფცია. დიალოგური კრიტიკა” აღნიშნავს: “კარნავალი გაორებული მოვლენაა და დიალოგური ურთიერთობის ბახტინისეულ თეორიას ემორჩილება: კარნავალი წინააღმდეგობათა მთლიანობას განასახიერებს, პარადოქსულ სიმბიოზს, რომელიც თავის თავში ერთდროულად აერთიანებს ნამდვილს და წარმოდგენილს, მითიურს და რეალურს, სცენიურს და ცხოვრებისეულს. კარნავალი ხალხური იუმორის ძირებზეა ამოზრდილი, სიცილის მეშვეობით იგი საცნაურს ხდის ყოფიერების დუალისტურ ბუნებას და თავსმოხვეული რეჟიმის ძალმომრეობასა და შიშს, ალტერნატივის სახით, უპირისპირებს სიმართლეს” (ლიტერატურის .. 2008: 48 -51).

ზუსტად ასევე, ჩვენ მიერ განხილულ ნიმუშებში აშკარად ჩანს ბახტინისეული თეორიის მთავარი პოსტულატის ფორმირების კვალი ოპოზიციურ წყვილთა გამთლიანების სახით: კონტრასტი დიდებულებასა და ყოფით სიმდაბლეს შორის. ამ ხერხს განსაკუთრებით აქტიურად იყენებდნენ "ნიანგის" ილუსტრატორები, როდესაც საზოგადოებაში არსებული პრობლემების გაკრიტიკება სურდათ. ან კიდევ, კომიკურ სიტუაციებს ქმნიდნენ, როდესაც ვისიმეს გაშარჟებას ისახავდნენ მიზნად და ამას აკეთებდნენ ყველასთვის კარგად ნაცნობი ხელოვნების ნიმუშების მოდიფიკაციის გზით. ამგვარი პაროდირებით ისინი ახერხებდნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობების პროვოცირებას. ზემოთქმული უფრო ნათლად ნიმუშთა განხილვისას წარმოჩნდება.

კვლევის მეთოდი

როგორც უკვე ვთქვით, ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს 1950–1970 წლებში ჟურნალ „ნიანგში" გამოქვეყნებული ილუსტრაციები, ხოლო კვლევის საგანია მათი შინაარსობრივი, სემიოტიკური და დისკურსული თავისებურებების წარმოჩენა. ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი. საკვლევი მასალის ანალიზი ჩატარებულია სემიოტიკური და დისკურსული ანალიზის საფუძველზე. სემიოტიკური ანალიზის მეშვეობით განხილულია ილუსტრაციებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები და მათი მნიშვნელობები, ხოლო დისკურსული ანალიზის საშუალებით შესწავლილია პოლიტიკური და იდეოლოგიური გზავნილები. იუმორისტული ვიზუალური ნარატივის შესწავლისას გამოვკვეთეთ როგორც დენოტაციური, ისე კონოტაციური დონეები და მოვახდინეთ დეკოდირება იმ დაშიფრული ინფორმაციისა, რომელსაც ავტორები ვიზუალურ ტექსტში დამალული ქვეტექსტების სახით გადასცემდნენ აუდიტორიას.

კვლევის ამოცანებად დავისახეთ, გამოგვერკვია, რა გზებით ცდილობდა ჟურნალი რეალობის ჩვენებას, რომელ პრობლემებზე აკეთებდა აქცენტს, რა მხატვრულ ხერხებს იყენებდნენ ილუსტრაციათა ავტორები, სათქმელი შეფარვით რომ გადმოეცათ; როგორი იყო კავშირი ტექსტის ვიზუალურ და ვერბალურ კომპონენტებს შორის - ინსემანტიკური თუ ავტოსემანტიკური და „შერევის" რა სპეციფიკით ხასიათდებოდა ე. წ. კრეოლიზებული ვიზუალური ტექსტები; და ბოლოს, ჟურნალში გამოქვეყნებული ნახატები მხოლოდ ავტორის პოზიციას გამოხატავდა, თუ მთელი რედაქციისას.

განსახილველად შერჩეული ვიზუალური მასალის თემატურმა კლასიფიკაციამ საშუალება მოგვცა გამოგვეყო ილუსტრაციათა ოთხი ძირითადი კატეგორია, რომლებიც ასე დავასათაურეთ: „შემოქმედებითი სფეროს მანკიერებათა მხილება", „ყოფითი პრობლემებიდან სისტემის კრიტიკამდე", „მითოლოგიური ალეგორიები", „ანტიდასავლური პროპაგანდა". თითოეული კატეგორიიდან გამოვარჩიეთ ყველაზე საინტერესო და ტიპური ნიმუშები და განვიხილეთ ცალცალკე, შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით.

შემოქმედებითი სფეროს მანკიერებათა მხილება

ილუსტრაციათა ამ კატეგორიას ორი ნახატით წარმოვადგენთ. ერთი შემოქმედებით სფეროში (მწერლობაში, მეცნიერებაში) გავრცელებულ პრობლემაზე მიუთითებს, ხოლო მეორე - სპორტის სამყაროს ნაკლოვანებებს ეხება. მართალია, ეს უკანასკნელი კატეგორიის სახელდებასთან სრულ თანხვედრაში არ მოდის, მაგრამ პოპულარული კულტურის მნიშვნელოვანი სეგმენტია და შემოქმედებითობა, გარკვეულწილად, მისთვისაც არის დამახასიათებელი. განვიხილოთ თითოეული:



ილუსტრიაცია N1: „ავტორი და თანაავტორი“

1969 წლის პირველი იანვრის გამოცემის თავფურცელი საინტერესოდაა ილუსტრირებული. მ. აბაშიძის ნახატზე „ავტორი და თანაავტორი“ (იხ. ილუსტრიაცია N1) გამოსახული ორი ფიგურა ავტორსა და თანაავტორს განასახიერებს, მათგან ავტორი ეზიდება ძირითად ჭაპანს, ხელები მაგრად ჩაუვლია თავისი ნაშრომისთვის, რომლის თანაავტორობასაც მეორე ჩემულობს. ნებიერად მოკალათებულა ავტორის ზურგზე, დაუმსახურებლად გაუზიარებია სხვისი დიდება და დაფნის გვირგვინი. შარჟის ავტორი ნათლად მიგვანიშნებს შემოქმედებით სფეროში გავრცელებულ ერთ ტენდენციაზე - თანაავტორობის შემთხვევაში ძირითადი ავტორის ხვედრზე, როცა შემოქმედებითი შრომის მთელი სიმძიმე მასზე გადადის, თანაავტორი კი სხვისი ნაჯაფით ურცხვად სარგებლობს. ამგვარი უღირსი საქციელის მხილება დაუსახავს მიზნად ნახატის ავტორს, ხოლო მთავარ გვერდზე მისი გამოტანით ჟურნალის მესვეურთ თავიანთ სათქმელადაც გაუცხადებიათ.

ეს მანკიერება არც ერთი ეპოქისთვისაა უცხო და დღევანდელობაში კიდევ უფრო მყარადაა ფესვგადგმული. თუმცა, კონტექსტის გარეშე მის ნამდვილ დატვირთვას ვერ ამოვიცნობთ. აშკარაა, რომ სარედაქციო კოლეგიის სათქმელი კონკრეტული შემთხვევითაა ნაკარნახევი და შემდგომ ზოგადად, თანადროულობაზე განვრცობილი. თუმცა, ჟურნალის ამ ნომრის შინაარსის გაცნობამ არც ჩვენ მოგვცა უფრო კონკრეტული მტკიცებულება. წარმოდგენილი კარიკატურის კონოტაციური მნიშვნელობა დენოტაციის დონეზეც იკითხება და შემოქმედებით სფეროში გამეფებულ არაკეთილსინდისიერებაზე ამახვილებს ყურადღებას. ავტორი განზრახ ქმნის კომიკურ სიტუაციას და როგორც ბახტინი ამბობს, ამგვარი პაროდირებით ახერხებს

შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენელთა შორის ურთიერთობების პროვოცირებას. ვიზუალური მეტაფორის როლს ასრულებს დაფნის გვირგვინი. როგორც ვიცით, იგი წარმატების სიმბოლოა, აქ კი ავტორს მისთვის დამატებითი დატვირთვა მიუნიჭებია - თანაავტორობის ილუზიისა, როგორც ეზოპესეული "ბუზისა ხარის რქაძე". ნახატში დაფნის გვირგვინი ორივე პერსონაჟის თავს მორგებია, თუმცა კმაყოფილება მხოლოდ მას აწერია სახეზე, ვისაც სხვისი წარმატება უშრომლად მიუთვისებია.



ილუსტრაცია N2: „წვრთნა დაიწყო"

ამ კატეგორიაში შემავალი კიდევ ერთი ილუსტრაცია (იხ. ილუსტრიაცია N2) - „წვრთნა დაიწყო" - წარმოადგენს ცნობილი ქართველი მხატვრის, ჯემალ ლოლუას შარჟს. ნახატი სატირულად აშუქებს საბჭოთა პერიოდის ქართულ ფეხბურთში (სავარაუდოდ, თბილისის "დინამოში") არსებულ აქტუალურ პრობლემას — ფეხბურთელების მოტივაციასა და მათ მატერიალურ ინტერესებს. კარიკატურა სპორტის სფეროში ფესვგადგმულ მანკიერებებს ამხელს. ავტორი სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს ავტომობილ "ვოლგას", რომელიც სპორტულ ქურთუკზე აქვს გამოსახული წინ მიმავალ პერსონაჟს, სავარაუდოდ, პრივილეგირებულ პირს ან მწვრთნელს.

გავიხსენოთ, რომ "ვოლგა" მთავარ მამოტივირებელ როლს ასრულებდა საბჭოთა სპორტსმენების ცხოვრებაში. საბჭოთა კავშირში "გაზ-21" და "გაზ-24" ("ვოლგა") ითვლებოდა უდიდესი ფუფუნების, სტატუსისა და სიმდიდრის სიმბოლოდ, რომლის შეძენის უფლებაც ხშირად წარმატებულ სპორტსმენებს ეძლეოდათ. საინტერესოდ აქვს გადმოცემული ავტორს ფეხბურთელების რეაქცია. ყველა მათგანი ბურთის ნაცვლად თვალს აყოლებს და უკან მიჰყვება ვოლგისნახატიან ქურთუკში გამოწყობილ პერსონაჟს. მათი მზერა, მოძრაობა და ემოციები მიმართულია არა უშუალოდ სპორტული წვრთნისკენ ან თამაშის ხარისხის გაუმჯობესებისკენ, არამედ იმ მატერიალური ჯილდოსკენ, რასაც წარმატება მოუტანთ. ამ დროს მოედანზე ქაოსია - ბურთები ჰაერში უმისამართოდ დაფრინავენ, ფეხბურთელები კი ერთმანეთში არიან არეულები. ამით ავტორი გვეუბნება, რომ როდესაც სპორტსმენის მთავარი მიზანი და მოტივაცია მატერიალური გამორჩენა ხდება, უშუალოდ სპორტული დისციპლინა და ვარჯიშის ხარისხი მეორე პლანზე გადადის. ერთი შეხედვით ნაივური, ღიმისმომგვრელი კარიკატურა მეტად საგულისხმო და საჭირბოროტო ქვეტექსტის შემცველია. კომიკური სიტუაციის წარმოდგენით ნიჭიერმა მხატვარმა სპორტულ სფეროში არსებული მანკიერებები ამხილა. კარნავალური ინსცენირების ამ ოსტატური ნიმუშით ნათქვამი

სიმართლე არა მხოლოდ ერთ, კონკრეტულ სფეროში არსებულ პრობლემებს ასახავს. ვფიქრობთ, იგი საზოგადოების ყველა სფეროზე შეიძლება განვაზოგადოთ..

ყოფითი პრობლემებიდან სისტემის კრიტიკამდე

ჟურნალში გამოქვეყნებული ილუსტრაციებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება კარიკატურები, რომლებიც, ძირითადად, საზოგადოებაში არსებული მანკიერებების მხილებას ისახავს მიზნად. კარიკატურის დანიშნულებაც ესაა, მაგრამ ზოგიერთი შარჟის უკან სისტემის მხილების მცდელობაც იფარება. პრობლემები, რომლებზედაც საუბრობენ გამოცემის ავტორები, არც სადღეისოდ კარგავს მნიშვნელობას. ყოფითი პრობლემებიდან დაწყებული, თავნება მოხელეთა და კორუმპირებულ ჩინოვნიკთა მხილებით დამთავრებული, ყველა მანკიერება ერთად იყრის თავს „ნიანგის“ ფურცლებზე. ასე მაგალითად, დ. ზარაფიშვილის კარიკატურა, რომელიც ჟურნალის 1968 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა, ასახავს საბჭოთა ქალაქში არსებულ ვითარებას. ნახატზე გამოსახულია გადათხრილი ქუჩები (იხ. ილუსტრაცია N3) - ირგვლივ ყველაფერი ორმოებითა და ქვა-ღორღითაა სავსე. ქუჩებში მდინარეებივით მოჩქეფს წყლის ნაკადები, რომლებიც ზედაპირზე პატარ - პატარა კუნძულებს ტოვებს. იქვე ძალაყინიანი კაცი მოწადინებით თხრის მიწას და უკვე თითქმის მთელი ტანით ორმოშია, მიწაყრილზე წაქცეული მოქალაქე კი სიმწრისა და სიბრაზისგან ყვირის. ასეთი სურათი დახატა ავტორმა და გვიჩვენა, რა სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქალაქის მაცხოვრებლები. ორი მათგანი, ციდა კუნძულად ქცეულ მიწის ნაფლეთზე ცდილობს თავი შეიმაგროს და ასეთ დიალოგს მართავს: *„ - რას ჰგავს ეს ქუჩები?.. - ალბათ, სოფელსა და ქალაქს შორის ზღვარის წაშლას ფიქრობენ“.*



ილუსტრაცია N3: „- *რას ჰგავს ეს ქუჩები?..*“

ამ ირონიაში აშკარად ჩანს ავტორისა და მთლიანად რედაქციის კრიტიკული პოზიცია არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით. თუმცა, კონოტაციური დონე ბევრ სხვა მნიშვნელობასაც ფარავს. ავტორი გვეუბნება, რომ საბჭოთა რეჟიმის მიერ გაცხადებული

პოსტულატი - ცხოვრების დონით გავუთანაბროთ სოფელი ქალაქს - ამ შემთხვევაში სულ პირიქით რეალიზდა და უნიათო და უპასუხისმგებლო ხელმძღვანელობის გამოისობით ქალაქი სოფლის ორღობეს დაემსგავსა. ეს სარკაზმი მიემართება არა მხოლოდ ადგილობრივ მაღალჩინოსანთ, არამედ მთლიანად, რეჟიმის მიმართაც გამოხატავს უნდობლობასა და სკეპტიციზმს. ორმაგი კოდირებით დაშიფრული ინფორმაციის დეკოდირების პროცესში მჟღავნდება რედაქციის კრიტიკული პათოსი, რაც არსებული პრობლემის ფონზე მთლიანად სისტემის მიმართ უკმაყოფილების დემონსტრირებას წარმოადგენს.

უნდა აღვნიშნოთ ასევე, რომ ავტორი იყენებს ქრომატულ კოდს და ამით სათქმელს უფრო შთამბეჭდავად გვეუბნება. ნახატი ფერადია, უმეტესად გამოყენებულია ნაცრისფერი, მუქი ლურჯი და ღია ყავისფერი ტონალობები, რაც პრობლემებით დამძიმებული, მრუმე და უფერული ცხოვრების გამომხატველია. კარიკატურაში ვერბალური და ვიზუალური კომპონენტების ურთიერთმიმართება ინსემანტიკურია. პერსონაჟთა დიალოგით ავტორის სათქმელი უფრო მკაფიოვდება და დამატებით მნიშვნელობას იძენს.



ილუსტრაცია N4: „-*საინტერესოა, რით კლავენ ამ ქათამს...*“

ზოგჯერ კარიკატურები თითოეული ჩვენგანისთვის ახლობელ ყოველდღიურ პრობლემებს ასახავს და გულიან სიცილს იწვევს. ასე მაგალითად, ზ. ფორჩხიძის კარიკატურა (იხ. ილუსტრაცია N4) ყოფით პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას. გასტრონომში შესულ მყიდველს ხელში გაძვალტყავებული ქათამი უჭირავს და ნოქარს ეკითხება: „*-საინტერესოა, რით კლავენ ამ ქათამს, არსად დანის კვალი რომ არ ატყვია?!*“ *ნოქარი ღიმილით პასუხობს: „- შიმშილით, ბატონო!*“(ნიანგი, 1968: #1, 2). ესეც საბჭოური „მსუყე“ და „მდიდარი“ ცხოვრების ამსახველი ერთი დეტალია, რომელიც მთელს წარმოაჩენს. საბჭოური პროპაგანდა დალხენილ ცხოვრებაზე საუბრობდა ნიადაგ, სინამდვილეში კი პრობლემები იმაზე მეტი იყო, ვიდრე სისტემის ყველაზე კრიტიკულად განმსჯელი წარმოიდგენდა. მუდმივი სასაქონლო დეფიციტის პირობებში მყოფი უზარმაზარი ბირთვული ქვეყანა სინამდვილეში ელემენტარული ყოფითი პირობებითაც კი ვერ უზრუნველყოფდა თავის მრავალრიცხოვან მოსახლეობას.



ილუსტრაცია N5: „ამ ახალ წელს სად მოკალი ამხელა დათვი?“

ზ. ფორჩხიძის ავტორობით შექმნილი კიდევ ერთი კარიკატურა მოცემული კატეგორიიდან „ნიანგის“ 1967 წლის ნოემბრის თვის ნომერშია გამოქვეყნებული (იხ. ილუსტრაცია N5). აღნიშნული კარიკატურა პოლიტიკური შარჟია, რომელიც საბჭოთა რეჟიმის კრიტიკას ემსახურება. მიძინებული (და არა მოკლული) დათვი საბჭოთა კავშირის სიმბოლოა, რაც მის მტაცებლურ ბუნებას უსვამს ხაზს. ნახატს ერთვის ვერბალური გზავნილი, რომელიც მონადირეთა შორის გამართულ მცირე დიალოგს ასახავს. „მოკლული“ დათვის ნახვით გაოცებული მონადირე კითხულობს: „ამ ახალ წელს სად მოკალი ამხელა დათვი?“ დათვის მომნადირებელი კი პირთან საჩვენებელი თითის მიტანით პასუხობს: „ჩუმად! არ გააღვიძო, თორემ დაგვჭამს ორივეს!“.

ვერბალურ მინაწერს დიდი მნიშვნელობა აქვს კარიკატურის სრულად აღქმისთვის. მკვლევარი უ. კოუპი მიიჩნევს, რომ კარიკატურა მინაწერის გარეშე ხშირად აზრს მოკლებულია. ნათქვამის დასტურად იგი იმოწმებს შტრაიხერის მოსაზრებას, რომ მინაწერი ნახატის ქვემოთ, თუ თვითონ კარიკატურის გმირების „ფიქრის ღრუბლებში“ ჩაწერილი აზრები ნახატს სიცოცხლესა და რეალურობას სძენს. თუმცა, კოუპი გვთავაზობს საპირისპირო მოსაზრებასაც და ამბობს, რომ ხშირად ტექსტი ტავტოლოგიურია და „აფუჭებს“ ხუმრობას. კარგ კარიკატურას შეუძლია თავისით „იმეტყველოს“, მინაწერების დახმარების გარეშე (Coupe, 1969: 81). ჩვენს შემთხვევაში, ილუსტრაციის ვერბალური და ვიზუალური კომპონენტები ერთმანეთს ავსებს.

მოცემულ კარიკატურას განიხილავენ ასევე მკვლევრები სალომე სამხარაძე და მანანა შამილიშვილი თავიანთ ნაშრომში „გამკითხავი სიცილით“ თქმული სიმართლე - ჟურნალ „ნიანგის“ კარიკატურათა სემიოტიკური ანალიზი“. მათი შენიშვნით, დენოტაციურ დონეზე, მხოლოდ ზედაპირულ ნიშნებზე ყურადღების გამახვილებით შეიძლება გაგვიჭირდეს მთავარი გზავნილის ამოცნობა, რომელიც კარიკატურისტმა კონოტაციური კოდებით ოსტატურად შენიღბა. საინტერესოა კარიკატურის ქრომატული კოდებიც. დათვისა და შეშინებული მონადირის მოსასხამის გარდა, ნახატი მთლიანად შავ-თეთრ ფერებშია შესრულებული. ამ ორი ფერის ფონზე მკვეთრად ჩანს მოწითალო გამა, რომელიც ზოგადად საბჭოეთთან ასოცირდება. ვიცით, რომ დათვი რუსეთის სიმბოლოა და არაა გასაკვირი მხატვრის ამგვარი ჩანაფიქრი, მაგრამ შეშინებული

მონადირის მოსასხამის ანალოგიურ ფერში გამოსახვა ადამიანთა ფსიქიკაზე საბჭოთა რეჟიმის დამთრგუნველ გავლენას უსვამს ხაზს. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ფერის ფსიქიკურ ზემოქმედებასთან, რომელიც მკითხველში გარკვეულ ასოციაციებს აღძრავს. ამ გზით კარიკატურისტს სურს, სააშკარაოზე გამოიტანოს და გააკრიტიკოს საბჭოთა კავშირის პოლიტიკა. ჟურნალში წინასაახალწლოდ გამოქვეყნებული ამგვარი გზავნილის მიზანი მკითხველის გაფრთხილებაა, რომ თუკი სურს, ახალ წელს მშვიდად შეხვდეს, გამოსაზამთრებლად მიძინებული მტერი არ უნდა „გააღვიძოს“(გააღიზიანოს) (სამხარაძე, შამილიშვილი, 2019: 67).

როგორც უკვე შევნიშნეთ, განხილულ ილუსტრაციაში ტექსტის ვერბალურ და ვიზუალურ ნაწილებს შორის ინსემანტიკური დამოკიდებულებაა. ისინი ერთმანეთს ავსებენ. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მათი მთლიანობა ქმნის ქვეტექსტურ სათქმელს. ტექსტის ვერბალური ნაწილის გარეშე კარიკატურის დეკოდირება გაგვიჭირდებოდა. აქედან გამომდინარე, მოცემული კარიკატურა ტოლფასოვნად კრეოლიზებულ ილუსტრაციათა რიგს მიეკუთვნება.

მითოლოგიური ალეგორიები

აქამდეც ითქვა, რომ კარიკატურისტები ხელოვნების ცნობილი ნიმუშების გამოყენებით ახერხებდნენ ცენზურისთვის თვალის ახვევას. შარჟები, რომლებიც ეფუძნებოდა მითოლოგიურ სიუჟეტებს ან კლასიკურ ნამუშევრებს, რთული ამოსაცნობი იყო ცენზურისთვის, რომელიც მკაცრად აკონტროლებდა ყველა პუბლიკაციის პოლიტიკურ შინაარსს. ქართველ მხატვრებს ამ გზით ეძლეოდათ შესაძლებლობა, სათქმელი ნართაულად, სიმბოლურად გადმოეცათ. ამას მათი განსწავლულობაც უწყობდა ხელს. ქვემოთ განხილული ნიმუშები ნათლად ადასტურებენ ნათქვამს.



ილუსტრაცია N6: „ენას ძვალი არა აქვს“

1968 წლის პირველი ნომრის ჟურნალის გარეკანზე განთავსებული ნახატი (იხ. ილუსტრაცია N6), „ლაოკოონის ახალი ვარიანტი - „ენას ძვალი არა აქვს“, ასე ვთქვათ, ქარაგმული კარიკატურის ნიმუშია. ავტორი ჯემალ ლოლუა ირონიულად აშარჟებს


ცნობილ ანტიკურ ქანდაკებას „ლაოკოონი და მისი შვილები“. იგი მითოსური გმირის ლაოკოონისა და მისი ვაჟების გიგანტურ გველებთან სასიკვდილო ბრძოლის სცენას იყენებს სატირული გზავნილის შესაქმნელად. სურათზე გამოსახული პერსონაჟები ებრძვიან ლაოკოონის პირიდან ამოსულ უზარმაზარ „უძვლო ენას“, რომელიც გველივით შემოხვევია ტანზე და გუდავს როგორც თავად მთავარ პერსონაჟს, ისე მის შვილებსაც.

კარიკატურისტის მთავარი სათქმელი სათაურშივე არის გამჟღავნებული მეტაფორულად, რასაც ვიზუალური ცვლილება ცხადად ადასტურებს. იგი მიმართულია ისეთი ადამიანური მანკიერებების წინააღმდეგ, როგორებიცაა: ცილისწამება, ჭორიკნობა, სხვისი განკითხვა, დასმენა.. ეს მანკიერებები სოციალურ პრობლემად აქვს განზოგადებული კარიკატურის ავტორს და ამ ნახატით მიგვანიშნებს, რომ ენის მიტანა, მისი ბოროტად გამოყენება აზიანებს გარშემომყოფთაც და თვითონ მოენესაც (საკუთარი ენა მასაც აქვს შემოხვეული). ამით ზარალდებიან უდანაშაულო ადამიანები. თუკი ეპოქის კონტექსტსაც გავითვალისწინებთ, საბჭოთა პერიოდში გამომავალი იუმორისტული გამოცემები ხშირად იყენებდნენ ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს სათქმელის ირონიულად გადმოცემისთვის. ამ გზით შესაძლებელი იყო არა მხოლოდ ისეთი საზოგადოებრივ ნაკლოვანებების კრიტიკა, როგორებიცაა - უსაქმურობა, ჭორების გავრცელება, მოენეობა, არამედ ცენზურისთვის თვალის ახვევა და სასურველი შეტყობინების ქვეტექსტურად გადაცემა. ხალხური გამონათქვამის - „ენას ძვალი არა აქვსო“ - გამოყენებით ავტორმა ტრაგიკომიკური ვიზუალური ნარატივი შექმნა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში კლასიკურ ხელოვნებასა და ლიტერატურას კარგად იცნობდა მკითხველი, ამიტომ მისთვის უცხო არ იქნებოდა ცნობილი ილუსტრაციით შექმნილი შარჟის არსის ამოცნობა. ცხადად ჩანს, რომ „კულტურული კოდი“ ეფექტურად მუშაობდა.

ჩვენ მიერ განხილული ილუსტრაცია კონოტაციური სიღრმით გამოირჩევა და კონკრეტული ადამიანური სენის მხილების გარდა, რეჟიმის კრიტიკასაც შეიცავს. საბჭოთა პროპაგანდის შხამიანი ენა ყველას და ყველაფერს წამლავდა, სხვაგვარად მოაზროვნეებს, სისტემის კრიტიკოსებს, შემოქმედ ადამიანებს გუდავდა, ახრჩობდა და არ აძლევდა მათ თავისუფლად არსებობის, თვითგამოხატვის უფლებას. ამ შესანიშნავი პაროდიის ავტორის კოდირებული გზავნილი შეგვიძლია ამგვარადაც გავშიფროთ. ნახატი გროტესკული რეალიზმის ნიმუშია. ბახტინისეული ნააზრევით, აქ სიცილი მკვეთრად დეგრადაციულ ფუნქციას ასრულებს და ამბივალენტურ ხასიათს ამჟღავნებს: ერთი მხრივ, გულისხმობს რადიკალურ „დაღმასვლას“ - კლასიკური ხელოვნების ნიმუშის პაროდირებას და მეორე მხრივ კი - „აღმასვლას“ და თავიდან დაბადებას - ამ შემთხვევაში, მითის, ახალი სიმბოლოს შექმნას, რომელიც რეჟიმის ბუნების აღმნიშვნელად გვევლინება.

მითოლოგიური ალეგორიის - ლაოკოონის გველისებრი „გუდვის“ ნიმუშს წარმოადგენს ასევე მომდევნო კარიკატურა (იხ. ილუსტრაცია N7), რომელიც „ნიანგის“ მხატვარს გ. ლომიძეს ეკუთვნის. მასზე გამოხატულია სცენა ექიმსა და მაღალჩინოსანს, სავარაუდოდ, საავადმყოფოს დირექტორს შორის (ამაზე მაგიდაზე დალაგებული ტელეფონებიც მიანიშნებს). უნდა ვიფიქროთ, რომ ფურცელზე, რომელიც ექიმს უჭირავს, ასახულია ავადმყოფის მკურნალობის ხარჯები, რომელთა ჯამი 45 ათასს შეადგენს (იმ პერიოდისთვის კოლოსალურ თანხას). ხარჯთაღრიცხვის ფურცელი ძალიან ჰგავს გველისებრ მოხაზულობას, რითაც ავტორი სიმბოლურად მიანიშნებს

პაციენტის ფინანსურად „მომგუდველ“ განაჩენზე. ირონიული ტექსტი, რომელიც ნახატის ბოლოსაა გამოტანილი, ამძაფრებს ამ განცდას და ღიად მიანიშნებს სამედიცინო სფეროში არსებულ პრობლემებზე: *„- ბატონო დირექტორო, რა ღონე არ ვიხმარეთ, შვიდი ოპერაცია გავუკეთეთ, ექვსი გული გადავუნერგეთ, ერთი თვე ღამე ვუთიეთ. რომ მოიკეთა, ანგარიში წარვუდგინეთ და გული გაუსკდა!...“*(ნიანგი, 1969: #4, 8).



ილუსტრაცია N7: „- ბატონო დირექტორო, რა ღონე არ ვიხმარეთ...“

განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ნახატის ზედა მარცხენა კუთხეში წარწერილ ტექსტს: *„ავსტრიასა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში სამედიცინო მომსახურება ძალიან ძვირია. გაზეთებიდან“.* ეს არის საკვანძო სიტყვები, რომელთა დადასტურებასაც წარმოადგენს მთელი ილუსტრაცია. საბჭოთა კავშირში არსებული უფასო სამედიცინო მომსახურების ფონზე ეს კონტრასტი კიდევ უფრო აშკარავდება. ცხადია, შეპირისპირების გზით ავტორი და მისი სახით, ჟურნალის რედაქცია, ნათლად წარმოაჩენენ ჯანმრთელობის სისტემის პრობლემებს კაპიტალისტურ ქვეყნებში.

თითქოს გაზეთებიდან მოხმობილი ფრაზა ავტორს ეხმარება სულ სხვა ჩანაფიქრი გაუმხილოს მკითხველს. შეიძლება ითქვას, რომ ვითომდა უცხოური გაზეთებიდან ამონარიდი ფრაზა ცენზურისთვის ერთგვარი „კოგნიტური თვალსაბურავის“, თვალის ამხვევის ფუნქციას ასრულებს. მასთან ერთად ვიზუალური ნარატივი იკითხება როგორც დასავლური სამყაროს კრიტიკა, ხოლო მის გარეშე აღიქმება როგორც საბჭოური ყოფითი პრობლემის, ამ შემთხვევაში, სამედიცინო სფეროში არსებული ხარვეზების გამოაშკარავებისა და მათი სატირიზების მცდელობად. „ლაოკოონისა“ და მკურნალობის ხარჯების დოკუმენტის ირონიული გაიგივებით, ეს ჩანაფიქრი უფრო მკაფიოვდება. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში მედიცინა ოფიციალურად უფასო იყო, ილუსტრატორი ნათლად მიგვანიშნებს სამედიცინო სისტემის რეალურ პრობლემებზე, რომლებიც ანტიკური მითის გველებივით „ახრჩობენ“ რიგით მოქალაქეებს.

მითოლოგიური ალეგორიის მაგალითად უნდა მივიჩნიოთ „ნიანგის“ 1967 წლის მე-12 ნომრის გარეკანის ილუსტრაცია, რომელიც ისევ შარჟის უბადლო ოსტატს, ჯემალ ლოლუას ეკუთვნის (იხ. ილუსტრაცია N7). ნახატის ფონზე ფართო პლანით არის გამოსახული ინდუისტური მრავალხელიანი ქალღმერთი, რომელიც აღმოსავლური მდიდარი კულტურის, რელიგიისა და უძველესი ტრადიციების სიმბოლოა. წინა პლანზე მამაკაცის კარიკატურული ფიგურაა დახატული. მისი ჩაცმულობა და მხარზე ჩამოკიდებული ფოტოაპარატი მიანიშნებს, რომ გურული მოგზაურია, რომელიც ინდუისტურ ღვთაებას ისე აღიქვამს, როგორც სანახაობასა და ეგზოტიკას. იუმორისტულ დატვირთვას აძლიერებს გურულისთვის სახასიათო კილოკავით ნათქვამი სიტყვები: „აი ქალი მომცა ჩაში“.



ილუსტრაცია N8: გურული და ქალღმერთი

ამ წარწერით ავტორი ორმაგ სატირულ დატვირთვას ანიჭებს კარიკატურას. საბჭოთა იდეოლოგიური კონტექსტის გათვალისწინებით, იგი ხაზს უსვამს საბჭოთა ტურისტის „მორალურ სახეს“ და მის პირველივე რეაქციას კულტურული ძეგლის დანახვისას. ენამოსწრებული გურული ოცნებობს, თუ როგორ დაეხმარებოდა ქალღმერთის მრავალი ხელი ჩაის კრეფაში მშრომელ გლეხობას და საბჭოთა გეგმიური ეკონომიკის კვალობაზე ნაკისრ ვალდებულებებს უკეთ შეასრულებინებდა. თუმცა, ამ იუმორის მიღმა ამოვიკითხავთ ავტორის ირონიას არსებული რეალობის მიმართ. მის მიერ დახატული პერსონაჟი, მკვეთრად სახასიათო გარეგნული ნიშნებით, იმავდროულად, საბჭოელი მოგზაურის ტიპური სახეა, რომელიც კულტურას ზედაპირულად აღიქვამს და საბჭოური პროპაგანდის კარნახით, მას მხოლოდ იდეოლოგიურ რაკურსში განიხილავს - დასცინის დასავლურ საზოგადოებას, რომლის წევრებიც მოგზაურობენ მხოლოდ იმიტომ, რომ გაერთონ, იქ არსებულ რეალურ პრობლემებს კი თვალს არიდებენ. გარდა ამ მნიშვნელობებისა, ავტორის კრიტიკა მიემართება რელიგიურ ფაქტორსაც - ბუდისტური ქალღმერთის გამოსახულება მხოლოდ კულტურული ძეგლის სტატუსს არ ატარებს, იგი საბჭოელისთვის, უპირველესად, რელიგიური სიმბოლოა, ათეისტური

ქვეყნის პოლიტიკა კი რელიგიურ შემწყნარებლობას გამორიცხავდა. ილუსტრატორიც ამას ამბობს შეფარვით.

ანტიდასავლური პროპაგანდა

სხვადასხვა წლის ნომრებზე თვალის მიდევნებამ საშუალება მოგვცა გამოგვეკვეთა შემდეგი გარემოება - "ნიანგის" სათავეში ნოდარ დუმბაძის მოსვლასთან ერთად გამოცემა იძენს შინაარსობრივ მრავალფეროვნებას, იუმორი უფრო დახვეწილი და ქვეტექსტებით დატვირთული ხდება, ხოლო კარიკატურების ცნობილი ავტორები: ჯემალ ლოლუა, მამია მალაზონია, ზ. ფორჩხიძე და სხვები ოსტატურად შესრულებული ილუსტრაციებით გულიან სიცილს იწვევენ მკითხველში. ჟურნალში ჩნდება ახალი რუბრიკებიც. მაგალითად, ისეთი სპეციალური რუბრიკა, როგორიც ამ ამონარიდში წარმოდგენილი "ნიანგის უნივერსიტეტი" და მისი "უცხოური ფაკულტეტია" (იხ. ილუსტრაცია N9).. ორივე საზღვარგარეთულ სიახლეებს გადმოგვცემს და საბჭოურ ყაიდაზე აშარჟებს კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებს. აქ განთავსებული კარიკატურები იდეოლოგიური პროპაგანდის ნიმუშებია და მიმართულია იმ პერიოდის სსრკ-ის საერთაშორისო პოლიტიკური ოპონენტების - დიდი ბრიტანეთისა და ისრაელის წინააღმდეგ.



ილუსტრაცია N9: "უცხოური ფაკულტეტია"

ზოგადად, დასავლეთის კრიტიკა ჟურნალის ყოველ ნომერშია წარმოდგენილი. იდეოლოგიური პროპაგანდის ამოცანას, ძირითადად, გამოცემის უკანა ყდაზე დაბეჭდილი კარიკატურები ასრულებენ. მათი უმეტესობა გ. ლომიძის ნამუშევარია. იგი ცდილობს გააშარჟოს მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები და ამას ალეგორიებითა და სიმბოლოების მოხმობით ახერხებს. უნდა ითქვას, რომ კაპიტალისტური სამყაროს სატირული ასახვისთვის ავტორები ხშირად იყენებენ მითოლოგიურ ალეგორიებს. ისინი

ურჩხულებისა და აპოკალიფსის მხედრების სახით გამოსახავდნენ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ოპონენტებს. ზემოთ მოხმობილი კარიკატურების შემთხვევაში ავტორი ლომის სიმბოლიკას იყენებს დიდი ბრიტანეთის, ხოლო დავითის ვარსკვლავს - ისრაელის კრიტიკისთვის. ორივე ნახატის პოლიტიკური კონტექსტი ავტორის თანადროულობის საგარეო ვითარებითაა ნასაზრდოები და ასახავს ერთი მხრივ, დიდი ბრიტანეთის ეკონომიკურ კრიზისს, ხოლო მეორე შემთხვევაში - ისრაელის მილიტარისტულ პოლიტიკას, კერძოდ, 1967 წლის ექვსდღიან ომს, როდესაც ისრაელმა მეზობელი არაბული სახელმწიფოების ტერიტორიები დაიკავა. მათ წამქეზებლად და დამხმარედ, ცხადია, აშშ-ს მთავრობაა გამოყვანილი. ორივე ნახატი ემსახურებოდა საბჭოთა მოქალაქეებში ანტიდასავლური განწყობების გამძაფრებას.



ილუსტრაცია N10: „- უკაცრავად სერ, საახალწლოდ ცოტა ფული გვჭირდება“

გ. ლომიძის შესრულებით კიდევ ერთი კარიკატურა ეძღვნება საბჭოთა კავშირის საგარეო მტრების კრიტიკას (იხ. ილუსტრაცია N10). მოცემულ სურათზე ნათლად ჩანს ამერიკული ეკონომიკური ექსპანსიის მასშტაბები. პოლიტიკური კონტექსტი რომ გამოვკვეთოთ, გავიხსენოთ, რას ქადაგებდა საბჭოთა იდეოლოგია. მისი მტკიცებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკურ კრიზისში ჩავარდნილი ევროპული სახელმწიფოები, რომლებიც დიდ ფინანსურ დახმარებას იღებდნენ აშშ-ისგან, ამერიკული კაპიტალის პოლიტიკურ მძევლებად იქცნენ და დაკარგეს თავიანთი სუვერენიტეტი. ამ ვითარებას ასახავს წარმოდგენილი ნახატი, რომლის სატირა გამოხატულია როგორც შინაარსით, ისე - გაშარჟებული პერსონაჟებით. ბრიტანეთისა და საფრანგეთის სუვერენიტეტი ლომბარდში ფულის სანაცვლოდ გირავდება, რასაც ნახატის ტექსტური ნაწილიც ადასტურებს. “პოლიტიკური მევახშეობის” ჩვენებით საბჭოთა პროპაგანდას სურდა დასავლური კაპიტალისტური ქვეყნების დაკნინება და “მარშალის გეგმის” შემდგომი პერიოდის ამერიკული ექსპანსიის ირონიზება.

როგორც “ნიანგის” ქართველი მკვლევარი სამართლიანად შენიშნავს, ჟურნალი დიფერენცირებულ მიდგომას იჩენს განსახილველი თემებისადმი. მაგალითად, საგარეო პოლიტიკის საკითხები სრულად არის მოქცეული საბჭოთა ცენზურის ქვეშ ისევე, როგორც ოფიციალური მასალები, რომლებიც “ნიანგის” პირველწყაროსგან - რუსეთში გამომავალი “კროკოდილისგანაა” კოპირებული (კუპატაძე, 2017: 25).



ილუსტრაცია N11: ვიეტნამის ომი

მსგავსი თემატიკის შემცველია კარიკატურა, რომელიც ჟურნალის 1967 წლის მესამე ნომერში გამოქვეყნდა. მასში ასახულია ვიეტნამის ომის თემატიკა (იხ. ილუსტრაცია N11). ილუსტრაცია იმ მიზნით შევარჩიეთ, რომ ამ ომმა საყურადღებო გამოძახილი ჰპოვა საყოველთაოდ ცნობილ ჟურნალისტურ გამოძიებაში, რომელიც “პენტაგონის ქაღალდების” (The Pentagon Papers) სახელითაა ცნობილი. 1971 წელს “ნიუ-იორკ ტაიმსისა“ და „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტთა მიერ ჩატარებული გამოძიება ნათლად ასახავს იმ კრიზისულ ვითარებას, რომელიც ამერიკის ადმინისტრაციაში შეიქმნა ლინდონ ჯონსონის მმართველობის პერიოდში. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო “ცივი ომის” ცხელი კერა, რომელიც “სტატუს-კვოთი” დასრულდა და უამრავი ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა. ამ ომზე დღემდე არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს ამერიკულ საზოგადოებაში. მისი მძიმე შედეგები განსჯის საგანი გახდა პრესისთვისაც, რომლის გამორჩეული წარმომადგენლების მიერ მოპოვებული საიდუმლო მასალების გამომზეურების შემდეგ ნათელი მოეფინა ამერიკის უმაღლესი ხელისუფლის სადავო გადაწყვეტილებებს. აღნიშნული გამოძიება და მასთან

დაკავშირებული პერიპეტიები პრესის თავისუფლებისთვის სამართლებრივი ბრძოლის მაგალითად იქცა.[2]

ინდოჩინეთის მეორე ომის სახელით ცნობილი კონფლიქტი 1967 წელს ყველაზე მწვავე ფაზაში იყო შესული. ამ დროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვიეტნამში ჯარების რაოდენობა მაქსიმუმამდე გაზარდა, თუმცა რეალურ წარმატებას ფრონტზე ვერ მიაღწია. ამის მიზეზი საბჭოთა კავშირის მიერ იარაღით მხარდაჭერილი პარტიზანული მოძრაობა იყო. ეს მოძრაობა ვიეტკონგელთა - ვიეტნამის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა სახელითაა ცნობილი. სწორედ მათ განასახიერებდა "ნიანგის" მიერ გამოქვეყნებული ნახატი, რასაც მასზე აღბეჭდილი ჯარისკაცის აღკაზმულობა - ვიეტკონგელთათვის დამახასიათებელი სამხედრო ფორმა და ტროპიკული ჩაფხუტი ადასტურებს. სურათზე გამოსახული გაქცეული კაცი, რომელსაც ვიეტკონგელმა, რომ იტყვიან, "კუდით ქვა ასროლინა" და დოლარისგამოსახულებიანი მდიდრული ცილინდრიც დააკარგვინა, ამერიკული იმპერიალიზმის სიმბოლოდაა გამოყვანილი.

ვიზუალურ ნარატივს ავსებს ტექსტური ნაწილი, რომელიც ნახატის მარცხენა ზემო კუთხეშია განთავსებული. ინფორმაცია გვატყობინებს, რომ აშშ-ის ელჩმა სამხრეთ ვიეტნამში, გვარად ლოჯმა, პრეზიდენტ ჯონსონს გააცნო *"ავაზაკური ომის ყველა ასპექტი და ილაპარაკა პარტიზანებთან ბრძოლის განსაკუთრებულ სიძნელეებზე".* ამ ინფორმაციას ლექსად მოსდევს პასკვილი: *"ლოჯს ვიეტნამი მიაჩნდა ლოჯიად,/ეგონა, დაუფენდნენ ფეხქვეშ ფიანდაზებს,/მაგრამ გააშავეს ჯონსონის გოშია,/ხედავთ, უილაჯოდ როგორ მიალაჯებს?".* ამ დამცინავი კუპლეტით აშკარად მჟღავნდება ავტორისა და მასთან ერთად, მთელი რედაქციის პოზიცია აღნიშნულ პოლიტიკურ მოვლენასთან დაკავშირებით. აქ ვერბალური და არავერბალური ნარატივები ლოგიკურად ერწყმის ერთმანეთს. მათი ურთიერთმიმართება ინსემანტიკურია. ტექსტი ვიზუალური გზავნილის შემავსებლად გვევლინება და მთლიანობაში, კარიკატურა იდეოლოგიური დატვირთვის ფუნქციას ასრულებს. ამგვარად, გ. ლომიძის ნახატი ანტიამერიკული საბჭოთა პროპაგანდის ტიპური ნიმუშია.

კვლევის ძირითადი მიგნებები

ჟურნალ „ნიანგში" გამოქვეყნებული ვიზუალური ტექსტების კომპლექსურმა ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგვეკვლია მათი შინაარსობრივი თავისებურებები და გამოგვეტანა გარკვეული დასკვნები. კვლევამ ცხადყო, რომ ჟურნალში გამოქვეყნებული ვიზუალური მასალის ერთი ნაწილი პოლიტიკური დატვირთვის მედიატექსტებია. ილუსტრაციების ავტორები მიმართავდნენ გროტესკს, გაზვიადებას, სარკაზმს, ალეგორიას, სიმბოლოებსა და მეტაფორებს, რათა მკითხველისთვის განსხვავებული ინტერპრეტაცია შეეთავაზებინათ ოფიციალური პოლიტიკის საპირწონედ. კონოტაციურმა სემიოტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ილუსტრაციებში გამოყენებული

[2] "პენტაგონის ქაღალდების" შესახებ 2002 წელს ვრცელი ავტობიოგრაფიული წიგნი გამოსცა გამოძიების ერთ-ერთმა მონაწილემ დანიელ ელსბერგმა. უშუალოდ, გამოძიების მასალები და სრული დოკუმენტაცია, აუდიო-ვიდეო ჩანაწერებით, დაცულია საუნივერსიტეტო და კვლევითი ინსტიტუტების, ასევე, გამოძიების ინიციატორი პერიოდული გამოცემების არქივებში.

ვიზუალური ნიშნები შემთხვევითი არ არის. თითოეულ სიმბოლოს, იქნება ეს დათვი, ბურთი, დაფნის გვირგვინი, ლაოკოონის ენა, ავტომობილი "ვოლგა", დოლარისგამოსახულებიანი ცილინდრი, გაძვალტყავებული ქათამი თუ ქვაღორღიანი ქუჩა, კონკრეტული შინაარსობრივი დატვირთვა აქვს და ემსახურება ავტორის (შესაბამისად, რედაქციის) კრიტიკული პოზიციის გამოკვეთას. ამავე დროს, ვერბალური და ვიზუალური კომპონენტების ურთიერთქმედება მნიშვნელოვნად აძლიერებს ილუსტრაციის ზემოქმედების ძალას და მკითხველს კონკრეტული ინტერპრეტაციისკენ მიმართავს. ილუსტრაციათა ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ ისინი თანხვედრაშია ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკასთან და გამოცემის საერთო სტრატეგიის ნაწილია. სისტემის მამხილებელი ილუსტრაციების საშუალებით იქმნება ერთიანი კრიტიკული დისკურსი, რომლის ფარგლებში საბჭოთა საქართველოში ცხოვრება და ის "სიკეთეები", რომლებზეც მუდმივად საუბრობდნენ რეჟიმის იდეოლოგები, ერთი დიდ სიცრუედ და თვალთმაქცობად წარმოჩნდება.

ჟურნალში გამოქვეყნებული ილუსტრაციების ერთი ნაწილი მითოლოგიური ალეგორიების გამოყენების გზით ამხელს ქვეყანაში არსებულ პრობლემებს და მეტაფორებს ამოფარებული, არ ერიდება სისტემის კრიტიკას. უნდა ითქვას, რომ ხელოვნებაში გათვითცნობიერებული საბჭოთა მკითხველის უმეტესობას[3] არ უჭირდა მითოსური პერსონაჟების ამოცნობა და მათი გაიგივება იმ პრობლემებთან, რომელთა წარმოჩენასაც ავტორი სიმბოლურად ცდილობდა. ვიზუალური ეფექტის მისაღწევად ილუსტრატორები იყენებდნენ შემდეგ ხერხებს: მითოლოგიურ გმირების სახეების განზრახ დამახინჯებით ან ყოველდღიურ პრობლემებთან მათი გაიგივებით ქმნიდნენ მყისიერ სატირულ ეფექტს. ამაღლებულსა და ყოფითს შორის კონტრასტის ჩვენება ავტორთათვის მომგებიანი ხერხი იყო ყოფითი პრობლემების გასაკრიტიკებლად. ზოგჯერ ამ გზით უფრო მეტის თქმას ცდილობდნენ, ვიდრე ყოველდღიური პრობლემები იყო. მითოლოგიური ალეგორიებით სისტემის მამხილებელი გზავნილებიც შეიძლება ამოვიცნოთ.

საბოლოო ჯამში, კვლევის რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი გამოვკვეთეთ შემდეგი მიგნებების სახით:

- ჟურნალი მეტწილად ყოფითი ცხოვრების ისეთ მანკიერებებს ამხელს, როგორებიცაა: მექრთამეობა, მუქთახორობა, ბიუროკრატიული პრობლემები, მოხელეთა თავნებობა, ლოთობა და ა.შ.
- ჟურნალში გამოქვეყნებული არავერბალური მასალების უმეტესობა საბჭოთა პროპაგანდას ემსახურება და მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა: საბჭოთა კავშირის საგარეო მტრების მხილება და მათი დაუნდობელი კრიტიკა - ზოგადად, ანტიდასავლური პროპაგანდა; საბჭოთა ცხოვრების წესის იდეალიზება და კომუნისტური მმართველობის აპოლოგია.
- ავტორები სათქმელის შენიღბვისთვის ოსტატურად იყენებენ ისეთ ქვეტექსტურ კოდებს, როგორებიცაა: იკონური კოდები (თვითონ გამოსახულება),

[3] საბჭოთა კავშირში კლასიკური ხელოვნება და ლიტერატურა მასობრივად ისწავლებოდა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ვერბალური კოდები (ნახატზე დართული წარწერები), კონოტაციური (იმპლიცისტური) და დენოტაციური (ზედაპირული) კოდები, სემანტიკური (ინსემანტიკა/ავტოსემანტიკა) კოდები და ქრომატული კოდები.

- ხშირ შემთხვევაში, ტექსტის ვიზუალურ და ვერბალურ ნაწილებს შორის ინსემანტიკური დამოკიდებულებაა. ისინი ერთმანეთს ავსებს და ქვეტექსტური გზავნილის დეკოდირებისთვის ორივეს თანაბარი დატვირთვა ენიჭება. თუმცა, არის შემთხვევები, როცა გამოსახულებას უფრო მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე მასზე დართულ ტექსტს.
- ჟურნალში გამოქვეყნებული ილუსტრაციების ერთი ნაწილი მითოლოგიური ალეგორიების გამოყენების გზით ამხელს ქვეყანაში არსებულ პრობლემებს და მეტაფორებს ამოფარებული, არ ერიდება სისტემის კრიტიკას, რასაც ავტორი ე.წ. "კულტურული კოდის" გაზიარებით აღწევს.
- ვიზუალური ეფექტის მისაღწევად ილუსტრატორები იყენებენ შემდეგ ხერხებს: მითოლოგიურ გმირების სახეების განზრახ დამახინჯებით ან ყოველდღიურ პრობლემებთან მათი გაიგივებით ქმნიან მყისიერ სატირულ ეფექტს.
- სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა შორის თავისუფალი და ფამილარული ურთიერთობების პროვოცირებით ილუსტრაციათა ავტორები კარნავალურობისთვის დამახასიათებელ სანახაობას გვთავაზობენ.
- ცალკეულ შემთხვევებში, კარნავალური ინსცენირება და კომიკური სიტუაციები ილუსტრაციებში გროტესკისთვის ნიშანდობლივი ამბივალენტური სახით ვლინდება (აღმასვლა-დაღმასვლა, მაღლა-დაბლა, სიბრძნე-სისულელე და სხვ.).
- ამაღლებულსა და ყოფითს შორის კონტრასტის ჩვენება ავტორთათვის მომგებიანი ხერხია ყოფითი პრობლემების გასაკრიტიკებლად. ზოგჯერ ამ გზით უფრო მეტის თქმას ცდილობენ, ვიდრე ყოველდღიური პრობლემების ასახვა მოითხოვდა. მათში სისტემის მამხილებელი გზავნილებიც შეიძლება ამოვიცნოთ.

ამგვარად, ჟურნალ „ნიანგის" მაგალითზე ნათლად წარმოჩნდა, როგორ ახერხებდა მედია საბჭოთა რეჟიმის პირობებში თავისუფალი და კრიტიკული აზრის შენარჩუნებას, სისტემის საწინააღმდეგო თვალსაზრისის გამჟღავნებას. ჟურნალის რედაქცია, მიუხედავად მკაცრი ცენზურის მუდმივი მეთვალყურეობისა, ძალას არ იშურებდა, შეეხსენებინა ქართველებისთვის ეროვნული ღირებულებები, კრიტიკულად განეწყო ისინი არსებული რეჟიმის მიმართ. ამგვარ შედეგს გამოცემა აღწევდა ცალკეულ მოღვაწეთა ოსტატობის, მოწადინებისა და შემოქმედებითი სიმამაცის ხარჯზე. „ნიანგის" ჟურნალისტები იუმორით ოსტატურად ნიღბავდნენ სათქმელს და ცდილობდნენ ამ გზით მიეტანათ მკითხველამდე სიმართლე. ილუსტრაციების ავტორები ვიზუალური მეტაფორებით ეფექტურად ილაშქრებდნენ საბჭოური დოგმების წინააღმდეგ.

ბიბლიოგრაფია:

კუპატაძე, ბ. (2017). *იუმორი ცენზურით განსაზღვრულ ჩარჩოში (ჟურნალი „ნიანგი“ და ქართული საბჭოთა რეალობა),* საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები“. http://institutehist.ucoz.net/_ld/1/197_Program_Paper-A.pdf

ლიტერატურის თეორია - XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები. (2008). თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.

მარკესი, გ. გ. (2005). *ედვარდ რაძინსკისა და „რუსეთის გამოცანათა“ შესახებ* (თარგმნა მ. შამილიშვილმა), გაზეთი „კალმასობა“, ##7,8.

მაჭარაშვილი, თ. (2018). *ინფორმაციის ვიზუალიზების ტენდენცია თანამედროვე ქართულ გეჭდვით მედიაში (2012–2014 წლების გამოცდილება).* სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სამხარაძე, ს. შამილიშვილი, მ., (2019). *გამკითხავი სიცილით“ თქმული სიმართლე - ჟურნალ „ნიანგის“ კარიკატურათა სემიოტიკური ანალიზი,* ჟურნალი „კრიტიკა“ # 14, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა.

შამილიშვილი, მ. (2014). *ზურაბ ქარუმიძის კრეოლიზებული მედიატექსტები ,*ჟურნალი “კრიტიკა”, №9, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.

შამილიშვილი, მ. (2016). *ვიზუალური მედიაგზავნილის თავისებურებათა გამო.* ჟურნალი „კრიტიკა“, #11. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.

http://literaturatmcodneoba.tsu.ge/kritika.htm

შამილიშვილი, მ. ნემსაძე, ა., (2019). *კარიკატურა როგორც აზროვნების მოდელი საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში.* ჟურნალი „სჯანი“, №20/1, თბილისი: თსუ გამომცემლობა. https://literaturatmcodneoba.tsu.ge/sjani.htm

ჯინჭარაძე, ს. (2010). *სატირული კრეოლიზებული ტექსტის სემიოტიკური ბუნება.* კულტურათაშორისი კომუნიკაციები, №11 თბილისი.

ჟურნალი „ნიანგი“ (1957 – 1980). საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული არქივი, ხელმისაწვდომია: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/412136

Alam, S. (2024). *The role of caricature in modern political communication.* International Journal of Advanced Studies in Social Sciences and Education.

https://jurnalinternasional.com/index.php/ijasse/article/view/22/8

Bignell, J. (2002). *Media Semiotics*. Manchester: Manchester University Press.

Coupe,W. (1969). Observations on a Theory of Political Caricature. *Comparative Studies in Society and History, 11*(1), 79-95. Retrieved from http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/178289

Ellsberg, D. (2002). *Secrets: A Memoir of Vietnam and the Pentagon Papers*. Viking Penguin, ISBN-10, 0670030309 ISBN-13 978-0670030309.